7 პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

საკუთარი უფლებამოსილება	დელეგირებული უფლებამოსილება
-------------------------	-----------------------------

8 პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

9 კავშირი სხვა პროგრამებთან

სოციალური დაცვის პროგრამები

10 პროგრამის სტატუსი:

ერთწლიანი	ახალი	მრავალწლიანი
-----------	-------	--------------

11 პროგრამის განხორციელების ვადები:

დაწყება:	დასრულება:
----------	------------

01.01.2019

31.12.2019

12 გადარიცხვა

ამოცანა 1.	მატერიალური დახმარება	ღონისძიება 1	დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში თანხის გადარიცხვა
------------	-----------------------	--------------	---

13 პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:

№	თანხის აღწერა	საზოგადოებრივი
---	---------------	----------------

№	ჯანსაღი	საჯ.
1	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	40 000 ლარი

14	მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:	
1	მოსახლეობის მხრიდან დადებითი გამოხმაურება პოვა პროგრამამ.	

15	მოსალოდნელი შედეგები:	
1	მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	

16	მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
	ბენეფიციარების შერჩევა ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

17		
----	--	--

18	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი:		/თ. ფირცხალაიშვილი/

19	შეთანხმებულია:	იურიდიული სამსახურის უფროსი:	/ შ. ჩაგუნავა/
		საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:	/რ. ლაშხია /

- 1 **პროგრამის სახელწოდება:**
 ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა, ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.
- 2 **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:**
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
- 3 **პროგრამის მიზანი:**
 პროგრამის მიზანს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა.
- 4 **პროგრამის აქტუალობა:**
 ძუძუს კიბოს ნაოპერაციები ქალების სოციალიზაციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.
- 5 **სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:**
- | | | | | | | |
|------------|------------------|--|----------------|-----------|-----------|-----------------|
| მშენებლობა | სოც.უზრუნველყოფა | | ჯანმრთელობა | სპორტი | კულტურა | სხვა (მიუთითეთ) |
| ტრანსპორტი | უსაფრთხოება | | ინფრასტრუქტურა | ეკონომიკა | განათლება | |
- 6 **პროგრამის აღწერა:**

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო კვლევებს კლუბის წევრი ქალბატონებისათვის, სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრეინინგს, ფსიქოლოგიურ ტრეინინგს, მონაწილეობას სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. გასულ წელს პროგრამით ისარგებლა 44 კლუბის წევრმა. სამედიცინო კვლევებით ისარგებლა 20 ბენეფიციარმა; სარეაბილიტაციო ვარჯიშები ჩაიტარა 29 ბენეფიციარმა. ფსიქოლოგის მომსახურება ჩაიტარა 29 ბენეფიციარმა. პრესოთერაპიის მურნალობა ჩაიტარა 22 ბენეფიციარმა. კლუბის წევრი ქალბატონები აქტიურად იყვნენ ჩართული 2018 წლის დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებში (მსოფლიო მარათონი "სიცოცხლის გადსაჩენად" , ლანჩუთის დისშესანიშნაობებით შედგა კლუბის წევრი ქალბატონების მონაწილეობით 2019 წლის კალენდარი) პროგრამის მიზანს წარმოადგენს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა.

7	პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება					
	საკუთარი უფლებამოსილება			დელეგირებული უფლებამოსილება		
8	პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:					
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი					
9	კავშირი სხვა პროგრამებთან					
	სოციალური დაცვის პროგრამები					
10	პროგრამის სტატუსი:		ერთწლიანი	ახალი	გაგრძელება	მრავალწლიანი
11	პროგრამის განხორციელების ვადები:					
	დაწყება:	01.01.2019		დასრულება:	31.12.2019	

გადახდა		
ამოცანა 1	სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის	ღონისძიება 1. კლუბის წევრი ქალბატონებისათვის სამედიცინო კვლევებისათვის საჭირო თანხა
ამოცანა 2	ფსიქოლოგის ხელფასი და ტრეინინგისათვის საჭირო მასალის ღირებულება	ღონისძიება 2 ფსიქოლოგიური ტრეინინგის ჩასატარებელი თანხა.

12

ამოცანა 3	პროგრამის კოორდინატორის ხელფასი	ღონისძიება 3. პროგრამის კოორდინატორის ყოველთვიური ხელფასი
ამოცანა 4	ტრანსპორტირების ხარჯი	ღონისძიება 4. ტრანსპორტირების თანხა თითოეულ გასვლის შემთხვევაში
ამოცანა 5	ღონისძიებების საორგანიზაციო ხარჯი	ღონისძიება 5. დაგეგმილი და დაუგეგმავი ღონისძიებების ხარჯის ანაზღაურება
ამოცანა 6	პრესოთერაპიის პროცედურების ხარჯი	ღონისძიება 6. პრესოთერაპიის პროცედურების ხარჯის ანაზღაურება
ამოცანა 7	პროგრამის საოპერაციო ხარჯი	ღონისძიება 7. პროგრამის საოპერაციო ხარჯის ანაზღაურება
ამოცანა 8	სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგის ხარჯი	ღონისძიება 8. სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგის ხარჯის ანაზღაურება
ამოცანა 9	მკერდის სილიკონის (პროტეზების) შეძენის ხარჯი	ღონისძიება 9. მკერდის სილიკონის (პროტეზის) შეძენის ხარჯის ანაზღაურება
ამოცანა 10	ოფისის ხარჯი	ღონისძიება 10. ოფისის ხარჯის ანაზღაურება
ამოცანა 11	გამარჯვებულ ქალთა კლუბის საკომუნიკაციო ხარჯი	ღონისძიება 11. გამარჯვებულ ქალთა კლუბის საკომუნიკაციო ხარჯის ანაზღაურება
ამოცანა 12	მოწვეული სპეციალისტების ბინით უზრუნველყოფის ხარჯი	ღონისძიება 12. მოწვეული სპეციალისტების ბინით უზრუნველყოფის ხარჯის ანაზღაურება

13

N	დასახელება					სულ
1	სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის					12000 ლარი
2	ფსიქოლოგის ხელფასი და ტრენინგისათვის საჭირო მასალის ღირებულება					1000 ლარი
3	პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯი					2000 ლარი
4	ღონისძიებების საორგანიზაციო ხარჯი					2500 ლარი
5	რეგიონალური კოორდინატორის მომსახურების ხარჯი					9600 ლარი
6	პრესოთერაპიის პროცედურების ხარჯი					1400 ლარი
7	პროგრამის საოპერაციო ხარჯი					1200 ლარი
8	სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგის ხარჯი					1000 ლარი
9	მკერდის სილიკონის (პროტეზების) შეძენის ხარჯი					700 ლარი
10	ოფისის ხარჯი					3200 ლარი

11	გამარჯვებულ ქალთა კლუბის კომუნიკაციის ხარჯი					400 ლარი
12	მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ხარჯი					1000 ლარი
სულ ხარჯი						36 000 ლარი

მოსალოდნელი შედეგი		
14	1	ეკონომიკური
	2	სოციალური
	3	სხვა
		სოციალურ -ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება
		ჯანმრთელობაზე ზრუნვა , პრევენცია.უფასო გამოკვლევების ჩატარება.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი	
15	1 „გამარჯვებულ ქალთა კლუბის" წევრები

15	თარიღი	
----	--------	--

16	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:	
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი: /თ. ფირცხალაიშვილი/	

17	შეთანხმებულია:	იურიდიული სამსახურის უფროსი:	/ შ. ჩაგუნავა/
		საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:	/რ. ლაშხია /

- 1 **პროგრამის სახელწოდება:**
ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა;
- 2 **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:**
ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
- 3 **პროგრამის მიზანი:**
ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულების დახმარება.
- 4 **პროგრამის აქტუალობა:**
ხანდაზმულთა დახმარება.
- 5 **სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:**
- | | | | | |
|------------|------------------|----------------|-----------|-----------------|
| მშენებლობა | სოც.უზრუნველყოფა | ჯანმრთელობა | სპორტი | სხვა (მიუთითეთ) |
| ტრანსპორტი | უსაფრთხოება | ინფრასტრუქტურა | ეკონომიკა | |
- 6 **პროგრამის აღწერა:**
ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულების დახმარება. (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს)
- 7 **პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**
- | | |
|-------------------------|-----------------------------|
| საკუთარი უფლებამოსილება | დელეგირებული უფლებამოსილება |
|-------------------------|-----------------------------|
- 8 **პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:**
ლანჩუთის მუნიციპალიტეტი
- 9 **კავშირი სხვა პროგრამებთან**
სოციალური დაცვის პროგრამები

10	პროგრამის სტატუსი: ერთწლიანი ახალი მრავალწლიანი											
11	პროგრამის განხორციელების ვადები: დაწყება: 01.01.2019 დასრულება: 31.12.2019											
12	გადახდა ამოცანა 1. ერთჯერადად 500 ლარის გაცემა. ლონისძიება 1 წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად თანხის გადარიცხვა.											
13	პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები: <table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>დასახელება</th> <th>სულ</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>ფინანსური დახმარება</td> <td>2000 ლარი</td> </tr> </tbody> </table>				№	დასახელება	სულ	1	ფინანსური დახმარება	2000 ლარი		
№	დასახელება	სულ										
1	ფინანსური დახმარება	2000 ლარი										
14	მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები: <table border="1"> <tbody> <tr> <td>1</td> <td>100 და მეტი წლის ასაკის მოხუცები.</td> </tr> </tbody> </table>				1	100 და მეტი წლის ასაკის მოხუცები.						
1	100 და მეტი წლის ასაკის მოხუცები.											
15	მოსალოდნელი შედეგები: <table border="1"> <tbody> <tr> <td>1</td> <td>ეკონომიკური</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>სოციალური</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>ეკოლოგიური</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>სხვა</td> </tr> </tbody> </table> სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება				1	ეკონომიკური	2	სოციალური	3	ეკოლოგიური	4	სხვა
1	ეკონომიკური											
2	სოციალური											
3	ეკოლოგიური											
4	სხვა											
16	მოსარგებლეთა შერჩევის წესი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის მოხუცები.											
17												
18	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:											

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი:	/თ. ფირცხალაიშვილი/
---	---------------------

19

შეთანხმებულია:	იურიდიული სამსახურის უფროსი:	/ შ. ჩაგუნავა/
	საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:	/რ. ლაშხია /

1	პროგრამის სახელწოდება: უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა;														
2	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური														
3	პროგრამის მიზანი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება														
4	პროგრამის აქტუალობა: ხანდაზმულთა დახმარება.														
5	სფერო რომელსაც ეხება პროგრამა: <table border="1"> <tr> <td>მშენებლობა</td> <td>სოც.უზრუნველყოფა</td> <td>ჯანმრთელობა</td> <td>სპორტი</td> <td>სხვა (მიუთითეთ)</td> </tr> <tr> <td>ტრანსპორტი</td> <td>უსაფრთხოება</td> <td>ინფრასტრუქტურა</td> <td>ეკონომიკა</td> <td></td> </tr> </table>					მშენებლობა	სოც.უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი	სხვა (მიუთითეთ)	ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	ეკონომიკა	
მშენებლობა	სოც.უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი	სხვა (მიუთითეთ)											
ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	ეკონომიკა												
6	პროგრამის აღწერა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.														
7	პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება <table border="1"> <tr> <td>საკუთარი უფლებამოსილება</td> <td>დელეგირებული უფლებამოსილება</td> </tr> </table>					საკუთარი უფლებამოსილება	დელეგირებული უფლებამოსილება								
საკუთარი უფლებამოსილება	დელეგირებული უფლებამოსილება														
8	პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი														

9	კავშირი სხვა პროგრამებთან			
	სოციალური დაცვის პროგრამები			
10	პროგრამის სტატუსი:	ერთწლიანი	ახალი	მრავალწლიანი
11	პროგრამის განხორციელების ვადები:			
	დაწყება:	01.01.2019	დასრულება:	31.12.2019
12	გადახდა			
	ამოცანა 1.	ერთჯერადად 250 ლარის გაცემა.	ღონისძიება 1	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად თანხის გადარიცხვა.
13	პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:			
	№	დასახელება	სულ	
	1	ფინანსური დახმარება	2 500 ლარი	
14	მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:			
	1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.		
15	მოსალოდნელი შედეგები:			
	1	ეკონომიკური		
	2	სოციალური უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება		
	3	ეკოლოგიური		
	4	სხვა		
16	მოსარგებლეთა შერჩევის წესი:			
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის საფუძველზე დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად			
17				

18	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:	
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი:	/თ. ფირცხალაიშვილი/

19	შეთანხმებულია:	იურიდიული სამსახურის უფროსი:	/ შ. ჩაგუნავე/
		საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:	/რ. ლაშხია /

- 1 პროგრამის სახელწოდება:**
- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.
- 2 პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:**
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
- 3 პროგრამის მიზანი:**
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა შეჭირვებული მოხუცების და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 საშუალო მერქნის შესაძენად გაეწევთ ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარება; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით და სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის.
- 4 პროგრამის აქტუალობა:**
- შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება
- 5 სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:**
- | მშენებლობა | სოც.უზრუნველყოფა | ჯანმრთელობა | სპორტი | სხვა (მიუთითეთ) |
|------------|------------------|----------------|-----------|-----------------|
| ტრანსპორტი | უსაფრთხოება | ინფრასტრუქტურა | ეკონომიკა | |
- 6 პროგრამის აღწერა:**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა შეჭირვებული მოხუცების, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 საშუალო მერქნის შესაძენად გაწევით ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; ასევე ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარება; სახემწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების დახმარება; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა ოჯახში განხორციელდა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება.ერთჯერადი ფულადი დახმარება გაწევა ბავშვების ოჯახებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ.

7	პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება				
	საკუთარი უფლებამოსილება		დელეგირებული უფლებამოსილება		
8	პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:				
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი				
9	კავშირი სხვა პროგრამებთან				
	სოციალური დაცვის პროგრამები				
10	პროგრამის სტატუსი:		ერთწლიანი	ახალი	მრავალწლიანი
11	პროგრამის განხორციელების ვადები:				
	დაწყება:	01.01.2019	დასრულება:	31.12.2019	
12	გადახდა				
	ამოცანა 1.	მატერიალური დახმარება	ღონისძიება 1	დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში თანხის გადარიცხვა	

13

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:		
№	დასახელება	სულ
1	ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს და მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებს რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 001-ს საშეშე მერქნის შესაძენად ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით	3 000
2	სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების დახმარება	2 000
3	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა ოჯახში განხორციელდა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, ერთჯერადი ფულადი დახმარება	2 000
4	ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	2 000
5	სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის.	4 500
	სულ	13 500 ლარი

14

მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:

1	პროგრამა შეფასდა დადებითად სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან
---	--

15	მოსალოდნელი შედეგები:
1	მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება

16	მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
ბენეფიციარების შერჩევა ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის საფუძველზე ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.	

17	თარიღი:
----	---------

18	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი: /თ. ფირცხალაიშვილი/	

19	შეთანხმებულია:	იურიდიული სამსახურის უფროსი: / შ. ჩაგუნავა/
		საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: /რ. ლაშხია /

1	პროგრამის სახელწოდება: მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.															
2	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური															
3	პროგრამის მიზანი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შეძენაზე დახმარება. რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს (150 ლარისა), ონკოდაავადებულთა მედიკამენტების შეძენაზე არაუმეტეს (300 ლარისა), შშმ პირების მედიკამენტების შეძენაზე არაუმეტეს 150 ლარისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა. (ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.)															
4	პროგრამის აქტუალობა: შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება															
5	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <th colspan="5" style="text-align: left; padding: 5px;">სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:</th> </tr> <tr> <td style="width: 25%; padding: 5px;">მშენებლობა</td> <td style="width: 25%; padding: 5px;">სოც.უზრუნველყოფა</td> <td style="width: 25%; padding: 5px;">ჯანმრთელობა</td> <td style="width: 20%; padding: 5px;">სპორტი</td> <td style="width: 5%; padding: 5px;"></td> </tr> <tr> <td style="padding: 5px;">ტრანსპორტი</td> <td style="padding: 5px;">უსაფრთხოება</td> <td style="padding: 5px;">ინფრასტრუქტურა</td> <td style="padding: 5px;">ეკონომიკა</td> <td style="padding: 5px;">სხვა (მიუთითეთ)</td> </tr> </table>	სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:					მშენებლობა	სოც.უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი		ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	ეკონომიკა	სხვა (მიუთითეთ)
სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:																
მშენებლობა	სოც.უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი													
ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	ეკონომიკა	სხვა (მიუთითეთ)												
6	პროგრამის აღწერა:															

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარები დახმარებას მიიღებენ წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს, არაუმეტეს (150 ლარისა) ონკოდაავადებულები მედიკამენტების შესაძენად არაუმეტეს (300 ლარისა), შშმ პირები მედიკამენტების შესაძენად არაუმეტეს 150 ლარისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები მედიკამენტების შესაძენად დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა. (ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.) განცხადებები განიხილება კომისიურად ლანჩხუთის მერის ბრძანებით შექმნილი კომიის მიერ. თანხა ჩაირიცხება შესაბამის სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

7	პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება			
	საკუთარი უფლებამოსილება		დელეგირებული უფლებამოსილება	
8	პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:			
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი			
9	კავშირი სხვა პროგრამებთან			
	სოციალური დაცვის პროგრამები			
10	პროგრამის სტატუსი:	ერთწლიანი	ახალი	მრავალწლიანი
11	პროგრამის განხორციელების ვადები:			
	დაწყება:	01.01.2019	დასრულება:	31.12.2019
12	გადახდა			
	ამოცანა 1.	მატერიალური დახმარება	ლონისძიება 1	დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში თანხის გადარიცხვა

13	პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:		
	№	დასახელება	სულ
	1	მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	60 000 ლარი

14	მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:		
	1	პროგრამა შეფასდა დადებითად სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან	

15	მოსალოდნელი შედეგები:	
	1	მოსახლეობის ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესება
	მოსარგებლეთა შერჩევის წესი:	

16	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები კერძოდ: პირები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს მედიკამენტების შესაძენად მიიღებენ დახმარებას არაუმეტეს (150 ლარისა) ონკოდაავადებულები მედიკამენტების შესაძენად არაუმეტეს (300 ლარისა), შშმ პირები მედიკამენტების შესაძენად არაუმეტეს 150 ლარისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების მედიკამენტების შესაძენად მიიღებენ დახმარებას არაუმეტეს 150 ლარისა. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სამსახურში წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას, რომლის შემდგომ მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა ფინანსური დახმარება.		
----	--	--	--

17	თარიღი:		
----	---------	--	--

18	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:		
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი: /თ. ფირცხალიშვილი/		

19	შეთანხმებულია:	იურიდიული სამსახურის უფროსი:	/ შ. ჩაგუნავა/
----	----------------	------------------------------	----------------

სტრუქტურული

საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

/რ. ლაშხია /

1	პროგრამის სახელწოდება: შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა															
2	პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური															
3	პროგრამის მიზანი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება.															
4	პროგრამის აქტუალობა: შშმ პირების მკურნალობა-რეაბილიტაცია.															
5	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <th colspan="5" style="text-align: left; padding: 5px;">სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:</th> </tr> <tr> <td style="width: 25%; text-align: center; padding: 5px;">მშენებლობა</td> <td style="width: 20%; text-align: center; padding: 5px;">სოც.უზრუნველყოფა</td> <td style="width: 20%; text-align: center; padding: 5px;">ჯანმრთელობა</td> <td style="width: 20%; text-align: center; padding: 5px;">სპორტი</td> <td style="width: 15%; text-align: center; padding: 5px;">სხვა (მიუთითეთ)</td> </tr> <tr> <td style="text-align: center; padding: 5px;">ტრანსპორტი</td> <td style="text-align: center; padding: 5px;">უსაფრთხოება</td> <td style="text-align: center; padding: 5px;">ინფრასტრუქტურა</td> <td style="text-align: center; padding: 5px;">ეკონომიკა</td> <td></td> </tr> </table>	სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:					მშენებლობა	სოც.უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი	სხვა (მიუთითეთ)	ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	ეკონომიკა	
სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:																
მშენებლობა	სოც.უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი	სხვა (მიუთითეთ)												
ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	ეკონომიკა													
6	პროგრამის აღწერა:															

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე მათი თანმხლები პირის ხარჯებს, სარეაბილიტაციო კურსის გავლის პროგრამით სარგებლობისთვის, მიმართავენ მუნიციპალიტეტს. მოქალაქეთა შერჩევა მოხდება სოციალურ საკითხთა შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ. დახმარების თანხა დღიური 35 (ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და 35 ლარის ოდენობით თანმხლებ პირზე ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. ბენეფიციართა შერჩევის პროცესში აქტიურადაა ჩართული ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“.

7	პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება			
	საკუთარი უფლებამოსილება		დელეგირებული უფლებამოსილება	
8	პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:			
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი			
9	კავშირი სხვა პროგრამებთან			
	სოციალური დაცვის პროგრამები			
10	პროგრამის სტატუსი:	ერთწლიანი	ახალი	მრავალწლიანი
11	პროგრამის განხორციელების ვადები:			
	დაწყება:	01.01.2019	დასრულება:	31.12.2019
12	გადახდა			

ამოცანა 1.	შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეზიდენციო კურსის დაფინანსება	დონისძიება 1 წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად თანხის გადარიცხვა.
------------	---	--

13	პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:	
	№	დასახელება
	1	შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეზიდენციო კურსის და თანმხლები პირის ხარჯების დაფინანსება
		10000ლარი
		სულ ხარჯი:
		10 000ლარი

14	მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:	
	1	პროგრამა შეფასებულია დადებითად

15	მოსალოდნელი შედეგები:	
	1	ეკონომიკური
	2	სოციალური
	3	ეკოლოგიური
	4	სხვა

16	მოსარგებლეთა შერჩევის წესი:	
----	-----------------------------	--

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0- დან 18 -წლამდე შშმ პირები, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ურეკში თანმხლებ პირთან ერთად პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სამსახურში წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას, რომლის შემდგომ მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა ფინანსური დახმარება.

17

18 **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:**
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი: /თ. ფირცხალაიშვილი/

19 **შეთანხმებულია:**
იურიდიული სამსახურის უფროსი: / შ. ჩაგუნავა/
საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: /რ. ლაშხია /

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N

2018 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2019 წლის ---- იანვრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიმიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2018 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 19-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის -- დეკემბრის №---დადგენილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი 15/01/2018, სარ. კოდი: 190020020.35.112.016337).

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი

წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

მუხლი 1. ფულადი სოციალური დახმარების სახეები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 06)
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 02)
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 09)
- დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 08)
- ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 05)
- ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 04)
- ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)
- თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 07)
- ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 03)
- კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 12)
- ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. (პროგრამის კოდი 06 02 10)
- მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 11)
- ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 13)
- ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 14)
- პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 15)
- ჟ) შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 16)

მუხლი 2. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 3. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 4. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა – განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის ამონაწერი.

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, განმცხადებლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში.

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა.

ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი.

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი);, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ(პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები); ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება, ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე.

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა -განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის-ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა- განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/ავთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. (ომის ვეტრანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან) თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/ავთიაქის საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. პროგრამით ისარგებლებენ ის ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150000-ს. გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

ჟ) შშმ პირის სატატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 5. განცხადებების განხილვა

მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

მუხლი 6. სამსახურის მიერ დასკვნის მომზადება

1. სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ბენეფიციართა საქმეში შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა). ცვლილებებში

იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა და ა.შ.

4. სამსახური, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 7. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაერიცხება ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 8. ფულადი დახმარების გაცემა

1. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

2. მერის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში.

3. სოციალური დახმარების გაცემას ახდენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.